

BOG ASSET
MANAGEMENT

# დოლარის მოკლევადიანი ფონდი

ფიქსირებული შემოსავლის ლიკვიდური და დივერსიფიცირებული სტრატეგია
ნოემბერი 2025

# **სამი მთავარი მიზანი** - უზრუნველყოფს ფულის ხელმისაწვდომობას და თავისუფალი სახსრების დაბანდებას მაღალრეიტინგულ ობლიგაციებში

## დაცულობა

- ფონდის ~70% დაბანდებულია **AA+ ობლიგაციებში**
- ყველა საინვესტიციო გადაწყვეტილება მიიღება პროფესიონალი გუნდის მიერ

## ლიკვიდურობა

- პორტფელის უმეტესობა განთავსებულია ლიკვიდურ ინსტრუმენტებში რომლებიც T+1 დღეში იყიდება
- ინვესტორებს შეუძლიათ ფონდის ერთეულების გაყიდვა ყოველდღიურად და ფულის მიღება 3 დღის ვადაში

## მომგებიანობა

- დამატებითი მომგებიანობის გენერირება პროფესიონალების მიერ შერჩეული საინვესტიციო შესაძლებლობებიდან
- დეპოზიტებზე მაღალი მომგებიანობა და უკეთესი ლიკვიდურობა

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ თანდართული დოკუმენტები არ წარმოადგენს საბოლოო დადასტურებულ ვერსიებს და საჭიროებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მათ დადასტურებას. წარმოდგენილ ვერსიებზე საქართველოს ეროვნული ბანკისგან უარის მიღების შემთხვევაში, აღნიშნულზე გეცნობებათ დამატებით.

# ძირითადი მახასიათებლები

| | | |
|---|---|---|
| **~4-5%**<br>წლიური სამიზნე წმინდა ამონაგები | **$100 მლნ**<br>ფონდის მაქსიმალური ზომა | **<1.0 წელი**<br>ორიენტირებული მოკლე ვადიანობაზე |
| **~0.5-1.2%**<br>დაბალი საკომისიო | **$50,000**<br>მინიმალური ინვესტიცია | **ლიკვიდური**<br>ყოველდღიური ლიკვიდობის შესაძლებლობა |

- **სს „მოკლევადიანი დოლარის ფონდი“** არის რეგისტრირებული ინტერვალური ფონდი, რომელიც ლიცენზირებულია და რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.
- ფონდი მიზნად ისახავს 4-5%-იან წმინდა წლიურ შემოსავლიანობას.
- საინვესტიციო პორტფელი **დივერსიფიცირებულია მაღალრეიტინგულ** ფიქსირებული შემოსავლის აქტივების კლასებში და უზრუნველყოფს **ყოველდღიური ლიკვიდურობის** საჭიროებების დაკმაყოფილებას.
- ფონდი გთავაზობთ **ყოველდღიურ ლიკვიდურობას გამოსყიდვის პროგრამის** მეშვეობით.
- ფონდი მიზნად ისახავს დაცულობის/ლიკვიდურობის უზრუნველყოფას **AA+ რეიტინგის ობლიგაციებში** ინვესტიციების საშუალებით. დამატებითი ამონაგების გენერირება მოხდება სახელმწიფო და ლოკალური ობლიგაციების შესყიდვით.

# ინვესტორის საჭიროებაზე მორეგბული პროდუქტი - ფონდი გთავაზობთ მაღალშემოსავლიან და დაბალრისკიან დოლარის ინვესტიციას

## ალტერნატიული ინვესტიციებს შემოსავლიანობა და ვადიანობა




**საბანკო დეპოზიტი**

**შესადარისი რისკი, უკეთესი ლიკვიდობა და მაღალი უკუგება**

ფონდი გთავაზობთ ფულის გატანის მოქნილ მექანიზმს და ინარჩუნებს დაბალი რისკის პროფილს. ასევე ფონდი შესაბამის დეპოზიტებთან მიმართებით დაახლოებით **+2% მეტ მოგებას გთავაზობთ.**

**ადგილობრივი ბონდები**

**დაბალი რისკი და უკეთესი ლიკვიდობა**

ქართული ობლიგაციები გთავაზობთ დაახლოებით 3%-ით მაღალ შემოსავლიანობას. თავის მხრივ, ლიკვიდური ფონდი გთავაზობთ მაღალ ლიკვიდობას და ნაკლებ რისკს დივერსიფიკაციის მეშვეობით.

**ლოკალური ფონდები**

**დაბალი რისკის და კონკურენტული ლიკვიდურობა**

ფონდი ინვესტიციების უმეტესობა განთავსებულია **AA+ რეიტინგის** აშშ სახაზინო ობლიგაციებში და ინარჩუნებს ყოველდღიურ ლიკვიდურობას.

შენიშვნა: ზოგიერთი მაჩვენებელი წარმოადგენს შეფასებას, რომელიც ეყრდნობა ბაზრის მიმდინარე პირობებს და სებ-ის სტატისტიკას

# ორიენტირებულია მაღალ შემოსავლიანობაზე ლიკვიდურობის გათვალისწინებით

## ძირითადი პირობები

| | |
|---|---|
| **სამიზნე წლიური წმინდა ამონაგები** | **4-5%** წმინდა მოგება |
| **საკომისიო** | **მართვის საკომისიო:** ფონდის NAV-ს 0.9%<br>**განთავსების საკომისიო:** ფონდის NAV-ს 0.15%-მდე<br>**გასვლის საკომისიო:** ფონდის NAV-ს 0.15%-მდე |
| **გადასახადები** | • რეზიდენტი საწარმო იბეგრება მოგების განაწილებისას, სხვა დანარჩენი 5%-მდე განაკვეთით დაბეგვრა |
| **ლიკვიდურობა & განაწილება** | • ფონდიდან გასვლა შესაძლებელია ყოველდღიურად მოთხოვნიდან მაქსიმუმ 3 დღეში<br>• შემოსვლიდან 3 კვირა გატანის შეზღუდვა<br>• მოგების კვარტალური განაწილება |
| **აქტივების კლასები** | აშშ-ს სახაზინო ობლიგაციები<br>სუვერენული ობლიგაციები<br>ადგილობრივი კორპორატიული ობლიგაციები |

## სამიზნე ალოკაცია




შენიშვნა: აქტივების ფაქტობრივი განაწილება შეიძლება განსხვავდებოდეს მიზნობრივი აქტივების განაწილებისგან. საერთო NAV-ის 70%-ზე მეტის გატანა შესაძლოა დროებით შეჩერდეს ფონდის მიერ.

# თითოეული აქტივი სტრატეგიულ როლს ასრულებს პორტფელში

| | აშშ-ს სახაზინოები | განვითარებადი ბაზრები | ადგილობრივი ბონდები |
|---|---|---|---|
| **დანიშნულება** | ლიკვიდურობის ძირითადი ბუფერი გამოსყიდვის მოთხოვნების დაკმაყოფილებასა და კაპიტალის შენარჩუნებისას. | აუმჯობესებს უკუგებას კონსერვატიული რისკის პროფილის შენარჩუნებისას გლობალური დივერსიფიკაციის მეშვეობით. | აუმჯობესებს ამონაგებს ლოკალური ბაზრის და ჯგუფის ადგილობრივი საკრედიტო ექსპერტიზის გამოყენებით. |
| **ალოკაცია** | სამიზნე ალოკაცია **70%-მდე**; | პორტფელის **30%-მდე**. | პორტფელის **10%-20%** ფარგლებში. |
| **ძირითადი მახასიათებლები** | აშშ დოლარში დენომინირებული, 1-წლიანი ვადიანობის, თითქმის ურისკო ინსტრუმენტი. | აშშ დოლარში დენომინირებული, საინვესტიციო რეიტინგის, 2 წელზე ნაკლები ვადიანობის, სუვერენული ან სააგენტო გამოშვების ფასიანი ქაღალდი. | აშშ დოლარში დენომინირებული; მაქსიმუმ 2 წლიანი ვადიანობის. |

# ფონდის ამონაგები მნიშვნელოვნად აჭარბებს ტრადიციული უსაფრთხო აქტივების ამონაგებს

## ჰიპოთეტური $100k ფონდის მომგებიანობა




## მომგებიანობა ვადიანი დეპოზიტებთან შედარებით

| | დეპოზიტის განაკვეთი | ფონდის განაკვეთი |
|---|---|---|
| 1 თვიანი | 1.5%-2.0% | **1.8%-2.5%** |
| 2 თვიანი | 2.0%-2.5% | **3.0%-3.5%** |
| 3 თვიანი | 2.5%-3.5% | **3.5%-4.0%** |
| 3-12 თვემდე | 3.5%-4.0% | **4.0%-4.5%** |

შენიშვნა: ზოგიერთი მაჩვენებელი წარმოადგენს შეფასებას, რომელიც ეყრდნობა ბაზრის მიმდინარე პირობებს, აქტივების მმართველის დაშვებებს და სებ-ის სტატისტიკას

# მიიღეთ ფონდზე წვდომა თქვენი ბროკერის მეშვეობით, თვალი ადევნეთ რეგულარულ შემოსავალს და ფონდის ღირებულებას - ყველაფერი ერთ ადგილას

## შემდეგი ნაბიჯები:

გათვიცნობიერებულ ინვესტორებს შეუძლიათ ფონდის ერთეულების შეძენა საბროკერო ანგარიშით

**შეიძინეთ ფონდის ერთეულები**

- დაუკავშირდით თქვენს ბროკერს ფონდში ადგილის უზრუნველსაყოფად
- დააფინანსეთ საბროკერო ანგარიში ერთეულების განთავსებამდე
- მიიღეთ ერთეულები თქვენს საბროკერო ანგარიშზე

ფონდი ანაწილებს მოგებას საბროკერო ანგარიშზე

**მიიღეთ შემოსავალი კვარტალურად**

- თქვენ მიიღებთ მოგებას ფონდში ერთეულის წილის შესაბამისად
- ფული გადაირიცხება კვარტალურად საბროკერო ანგარიშზე

საბროკერო ანგარიშზე ინვესტორები იღებენ კვარტალურ ანგარიშს და ხედავენ ყოველდღიურ ფასს

**აკონტროლეთ თქვენი კაპიტალი**

- თქვენ შეგიძლიათ აკონტროლოთ ფონდის ყოველდღიური ფასი
- კვარტალურად მიიღებთ დამატებით ინფორმაციას ფონდის შედეგების შესახებ

ფონდი გთავაზობთ ყოველდღიურ ლიკვიდურობას და მეორად ბაზარს

**ლიკვიდურობის რამოდენიმე ვარიანტი**

- უწყვეტი გამოსყიდვის პროგრამა 3-კვირიანი პერიოდის შემდეგ
- ფონდის ერთეულები შეიძლება გაიყიდოს მეორად ბაზარზე

# დანართი 1: BOG Asset Management

**რეგულაცია**

- რეგულირდება საქართველოს საინვესტიციო ფონდის კანონით
- ლიცენზირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ

**მფლობელობა**

- Lion Finance ჯგუფის წევრი

**მმართველობა**

- სამეთვალყურეო საბჭო 80+ წლის ერთობლივი გამოცდილებით ფინანსური სერვისების სფეროში
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საქართველოს ბანკის მენეჯმენტიდან
- 2 დამოუკიდებელი წევრი გლობალური ფინანსური ბაზრების გამოცდილებით

**პროდუქტები**

- საინვესტიციო ფონდები
- კერძო საპენსიო ფონდები
- პორტფელის მენეჯმენტი




შენიშვნა: დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ ჩვენს ვებგვერდს https://bogam.ge/

# დანართი 2: BOG Asset Management მმართველობითი სტრუქტურა

**ზურაბ ქოქოსაძე**
**დირექტორის მოადგილე, BOG კორპორატიული და საიანვესტიციო ბანკინგი**

- 20+ წლიანი საბანკო და საფინანსო გამოცდილება
- 2017-2020 წლებში იყო კორპორატიული ბანკინგის უფროსი

**დავით ჭყონია**
**დირექტორის მოადგილე, BOG კორპორატიული და საიანვესტიციო ბანკინგი**

- 20+ წლიანი საბანკო და საფინანსო გამოცდილება
- საინვესტიციო ბანკინგის უფროსი BOG-ში, CRO TBC ბანკში, დირექტორი BlackRock-ში

**ვასილი ტენგაიევ**
**დირექტორი, Santander Bank კორპორატიული და საიანვესტიციო ბანკინგი**

- 20+ წლიანი საბანკო და საფინანსო გამოცდილება
- სტრატეგიული რისკების უფროსი დირექტორი და DCM-ის უფროსი Citigroup-ში

**ედუარდო კამარა ლოპეს**
**CIO, Jubarte Capital აქტივების მართვის კომპანია**

- 20+ წლიანი საბანკო და საფინანსო გამოცდილება
- CIO და პარტნიორი Itau Asset Management-ში; co-CIO Corttex Capital-ში

**სამეთვალყურეო საბჭო**

**საინვესტიციო კომიტეტი**
(დირექტორი, საინვესტიციო ოფიცერი, რისკის ოფიცერი)

**დირექტორი**

**ფინანსური აღრიცხვა**

**რისკის ოფიცერი**

**საინვესტიციო ოფიცერი**

**უფროსი AML/CFT და სანქციების ოფიცერი**

**NAV შეფასების ოფიცერი**

# დანართი 3: რისკ-მენეჯმენტის პოლიტიკა

## რისკების მენეჯმენტის დეცენტრალიზებული პროცესი

### სამეთვალყურეო საბჭო

ადგენს საინვესტიციო და ოპერაციული რისკის აპეტიტს. ამტკიცებს რისკ-მენეჯმენტის პოლიტიკას და პროცედურებს.

### დაცვის პირველი ხაზი

თითოეული სტრუქტურული ერთეული მოქმედებს როგორც დაცვის პირველი ხაზი. პირველი ხაზი პასუხისმგებელია მათი საქმიანობიდან წარმოშობილ რისკებზე.

1

### დაცვის მეორე ხაზი

ზედამხედველობს პირველი ხაზის შესაბამისობას. ავითარებს რისკ-მენეჯმენტის პოლიტიკასა და პროცედურებს.

2

### დაცვის მესამე ხაზი

გარე და შიდა აუდიტი უზრუნველყოფს დამოუკიდებელ განხილვას და ობიექტურ გარანტიას შიდა კონტროლის სისტემების ხარისხისა და ეფექტიანობის შესახებ.

3

# დანართი 5: რისკის აპეტიტის ცხრილი

| დასახელება | რისკის აპეტიტი | საზომი | დანიშნულება |
|---|---|---|---|
| მაქსიმალური დურაციის აპეტიტი | 3.0 | პორტფელის პროპორციით შეწონილი Macaulay Duration | საპროცენტო განაკვეთის რისკი |
| აქტივის მაქსიმალური ნარჩენი ვადიანობა | 5 წელი | აქტივის ნარჩენი ვადიანობა ლიმიტის გაზომვის მომენტისთვის | ლიკვიდობის რისკი |
| მინიმალური ლიკვიდური სახსრები კვარტალურად | 30% | პორტფელის პროპორცია | ლიკვიდობის რისკი |
| 2 წელზე ნაკლები ვადიანობის მინიმალური პროპორცია | 20% | პორტფელის პროპორცია | ლიკვიდობის რისკი |
| საინვესტიციო გრეიდი განვითარებადი ბაზრებისთვის | („BB-„-დან "AAA" რეიტინგის ჩათვლით) | საერთაშორისო სარეიტინგო ორგანიზაციები (Standard & Poors, Moody's, Fitch, Scope Ratings) | საკრედიტო რისკი |
| უცხო ვალუტაში დენომინირებული აქტივების მაქსიმალური ლიმიტი | 15%-მდე | პორტფელის პროპორცია | ვალუტის რისკი |

# მნიშვნელოვანი შეტყობინება

ერთეულები არ არის განკუთვნილი „საჯარო შეთავაზებისთვის“, როგორც ეს განმარტებულია „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს 2020 წლის 14 ივლისის კანონით. წინამდებარე დოკუმენტის გავრცელება დაშვებულია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში. წინამდებარე დოკუმენტი არ არის დადასტურებული რომელიმე საზედამხედველო ორგანოს მიერ, მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, და არ შეიძლება გაზიარებული ან მიწოდებული იქნას ისეთი პირისთვის, რომელიც არ წარმოადგენს „გათვითცნობიერებულ ინვესტორს“ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 2.57. მუხლისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 16 დეკემბრის №223/04 ბრძანებით დამტკიცებული „პირის გათვითცნობიერებულ ინვესტორად აღიარების წესის“ შესაბამისად.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საკუთრებას და მომზადებული იქნა შპს „ბი ოუ ჯი აქტივების მართვა“-ს („ბი ოუ ჯი აქტივების მართვა“) მიერ, რომლიც არის Lion Finance Group PLC-ის („ჯგუფი“) წევრი. დოკუმენტი მომზადებული იქნა მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისათვის და მასში მითითებული/ნახსენები კომპანიებისაგან დამოუკიდებლად. დოკუმენტი არ წარმოადგენს და არ უნდა იქნას მიჩნეული ოფერტად ან ოფერტზე მოწვევად ან შეთავაზებად, ან მათ ნაწილად, რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის შეძენასთან დაკავშირებით და არაფერი, რაც ამ დოკუმენტშია მითითებული, არ უნდა ჩაითვალოს, როგორც ნებისმიერი სახელშეკრულებო ურთიერთობის ან პირობის არსებობის/წარმოქმნის საფუძველი, და არ უნდა იქნას მიჩნეული, როგორც რეკომენდაცია რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე.

ბი ოუ ჯი აქტივების მართვას გააჩნია საქართველოს ბაზარზე პროფერიული მომსახურების გაწევის ავტორიზაცია. წინამდებარე დოკუმენტის გავრცელება ზოგიერთ იურისდიქციაში შესაძლებელია შეზღუდული იყოს კანონმდებლობით. ბი ოუ ჯი აქტივების მართვა მოითხოვს ყველა იმ პირისაგან, რომლის მფლობელობაშიც იქნება დოკუმენტი, გაითვალისწინონ ყველა მსგავსი შესაბამისი შეზღუდვა, ასეთის არსებობის შემთხვევაში. დოკუმენტი არის გამიზნული პირდაპირ თუ ირიბად, გასავრცელებლად, ან გამოსაყენებლად ნებისმიერი ისეთი პირის (როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული) მიერ, რომელიც არის მოქალაქე ან/და რეზიდენტი ნებისმიერ ისეთ სახელმწიფოში, ქვეყანაში ან იურისდიქციაში, სადაც ამგვარი გავრცელება, გამოქვეყნება, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება მოვიდოდა წინააღმდეგობაში მოქმედ კანონმდებლობასა ან/და რეგულაციებთან, და საჭიროებს ნებისმიერი ფორმით რეგისტრაციას ან/და ლიცენზირებას ამ იურისდიქციის მოქმედების ფარგლებში.

ინვესტიციები (ან ნებისმიერი მოკლევადიანი ტრანზაქციები) განვითარებად ბაზარზე მოიცავს მნიშვნელოვან რისკს და ხასიათდება მერყევი ბუნებით, რომელიც შესაძლებელია არ იყოს ყველასთვის მისაღები. დოკუმენტის მიმღების მიერ უნდა იქნას საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული იმგვარად, რაც მათი შეხედულებით არის მათთვისვე მისაღები, კონკრეტული მიზნებისა და ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით. ამ პროცესში, დოკუმენტის მიმღებმა აუცილებლად უნდა განახორციელოს საკუთარი შეფასება განვითარებადი ბაზრის ინვესტიციების თანდაყოლილ რისკებთან დაკავშირებით, რომლებიც მოიცავს, მათ შორის, თუმცა არა მხოლოდ, პოტენციურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ არასტაბილურ გარემოს, სხვა პოლიტიკურ რისკებს, როგორიცაა, მათ შორის, თუმცა არა მხოლოდ, ცვლილებები კანონმდებლობაში და მოსაკრებლებში/გადასახადებში და ვალუტის გაცვლის რისკები.

წინამდებარე დოკუმენტში არანაირი განცხადება, გარანტია ან ვალდებულება, გაცხადებული, ნაკისრი თუ ნაგულისხმევი, არ არის და არ იქნება გაკეთებული ბი ოუ ჯი აქტივების მართვას ან ჯგუფის წევრი ნებისმიერი კომპანიის ან მათი წარმომადგენელი დირექტორის, თანამშრომლის, აფილირებული პირის, მრჩევლის ან აგენტის ან ნებისმიერი სხვა ამგვარი პირის მიერ. არცერთი პირი არ უნდა დაეყრდნოს წინამდებარე დოკუმენტს, მის სისწორეს, სიზუსტეს, სისრულეს და ამ დოკუმენტში გადმოცემულ ინფორმაციას (და, მათ შორის, არც იმას, რაიმე ინფორმაცია თუ არ არის მითითებული ამ დოკუმენტში). წინამდებარე დოკუმენტი არ უნდა იქნას მიჩნეული ბაზრის, ინდუსტრიის, მასში მოხსენიებული კომპანიების ან/და საინვესტიციო პროდუქტების სრულ აღწერად. არაფერი ამ დოკუმენტიდან არ უნდა იქნას გაგებული ან/და მოხდეს დაყრდნობა მასზე, როგორც იურიდიულ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევაზე, წარსულთან ან მომავალთან დაკავშირებით, ბი ოუ ჯი აქტივების მართვას ან ჯგუფის სხვა ნებისმიერი წევრის და მათი დირექტორების, თანამშრომლების, აფილირებული პირების, მრჩევლების და აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღები პირების მიერ უნდა განხორციელდეს დამოუკიდებელი მოკვლევა და შეფასება დოკუმენტში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით.

ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას ინვესტორის დისკრეციის ფარგლებში. კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში, ბი ოუ ჯი აქტივების მართვა, ჯგუფის სხვა ნებისმიერი წევრი და მათი დირექტორები, თანამშრომლები, აფილირებული პირები, მრჩევლები და აგენტები იხსნიან ყველანაირ პასუხისმგებლობას (გაუფრთხილებლობით და სხვაგვარს) ნებისმიერი როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი ზარალისა და ზიანისათვის, რომელიც დაკავშირებულია წინამდებარე დოკუმენტის ან მასში მითითებული ინფორმაციის ნებისმიერი გამოყენებით ან სხვაგვარად უკავშირდება წინამდებარე დოკუმენტს, ან ნებისმიერი ქმედებისთვის ან უმოქმედობისთვის, ნებისმიერი მხარის მიერ, ამ დოკუმენტზე დაყრდნობით.

წინამდებარე დოკუმენტში მითითებული ინფორმაცია შესაძლოა საჭიროებდეს გადამოწმებას, სისრულეში მოყვანას და ექვემდებარებოდეს ცვლილებას. ბი ოუ ჯი აქტივების მართვას არ გააჩნია არანაირი ვალდებულება, რომ განაახლოს და შეინარჩუნოს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციის ბოლოდროინდელი და განახლებული ვერსია. წინამდებარე დოკუმენტის მიწოდება არცერთ შემთხვევაში არ გულისხმობს იმას, რომ მისი მომზადების დროის ან ბოლო განახლების შემდგომ მასში მითითებულ ინფორმაციაში ცვლილება არ შესულა, ან რომ დოკუმენტში მითითებული ინფორმაცია სწორია მისი მიწოდების ან დოკუმენტში მითითებული დროის ნებისმიერი შემდგომი პერიოდისთვის. არანაირი განცხადება ან გარანტია, პირდაპირი თუ ნაგულისხმევი, არ არის გაკეთებული ბი ოუ ჯი აქტივების მართვას, ჯგუფის სხვა ნებისმიერი წევრის და მათი დირექტორების, თანამშრომლების, აფილირებული პირების, მრჩევლების და აგენტების მიერ, ინფორმაციის სიზუსტესა და სისრულესთან დაკავშირებით. წინამდებარე დოკუმენტში გადმოცემული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ეფუძნება მისი მომზადების დროისთვის ხელმისაწვდომ ინფორმაციას და წარმოადგენს ბი ოუ ჯი აქტივების მართვას მიერ შიდა კვლევის წარმოების ნაწილს.

გამოთქმული მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები სრულად ეფუძნება იმ მესამე მხარის წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას, რომლებიც მიიჩნევა სანდო, დაყრდნობად და კეთილსინდიერ წყაროებად, თუმცა შესაძლებელია დამატებითი შეტყობინების გარეშე იქნას შეცვლილი. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად მიუთითებს, რომ მათში მითითებული მონაცემები არის მოპოვებული სანდო და დაყრდნობადი წყაროებიდან, თუმცა არ არსებობს არანაირი გარანტია იმისა, რომ აღნიშნული მონაცემები არის ზუსტი ან სრული. შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტში მითითებულ ნებისმიერ ასეთ მონაცემზე არ უნდა მოხდეს ზედმეტი დაყრდნობა. არც ბი ოუ ჯი აქტივების მართვა, არც ჯგუფის სხვა ნებისმიერი წევრი, არც მათი დირექტორები, თანამშრომლები, აფილირებული პირები, მრჩევლები და აგენტები არ აკეთებენ არანაირ განცხადებას ან იძლევიან რაიმე გარანტიას, პირდაპირს თუ ნაგულისხმევს, სამომავლო აქტივობებისა და შედეგების პროგნოზებთან დაკავშირებით ან ნებისმიერი ფასიანი ქაღალდის ან აქტივის ამჟამინდელ ან სამომავლო ღირებულების შეფასებასთან დაკავშირებით წინამდებარე დოკუმენტის გამოყენებადობაზე.

ინვესტორებმა უნდა გაითვალისწინონ ის პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი, რომელმაც შესაძლებელია მოახდინოს გავლენა წინამდებარე დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის ობიექტურობაზე. წინამდებარე დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის არაავტორიზებული გამრავლება, გავრცელება, გამოქვეყნება ან რეტრანზმისია (ხელახალი გადაცემა) ნებისმიერი საშუალებითა და ნებისმიერი ფორმით, ნებისმიერი მიზნითა და მიზეზით, არის მკაცრად აკრძალული.



BOG ASSET MANAGEMENT

# BOG Asset Management

Tbilisi, 3 Pushkin Str., 0105 | E-mail: Info@bogam.ge